სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
15.01.2016 № 3

თბილისი

სტუ-ს 2015 წლის 02 სექტემბრის
№164 ბრძანების ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის, ბატონი კენეტ უოლშის 2015 წლის 11 დეკემბრის №SDSU 155-12-15 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. ნაწილობრივ შეიცვალოს „სტუ-სა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის პროგრამების სტუდენტებისათვის 2015-2016 სასწავლო წლის სასწავლო განრიგის შესახებ“ სტუ-ს 2015 წლის 02 სექტემბრის №164 ბრძანების მე-2 პუნქტი და იგი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2015-2016 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ჩატარდეს 2016 წლის 29 თებერვლიდან 2016 წლის 10 ივნისის ჩათვლით;
დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2016 წლის 13 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად;
ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხოციელდეს 2016 წლის 1 თებერვლიდან 14 თებერვლამდე, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია – 2016 წლის 15 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით;“

II. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე):

III. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი *ბ. მაისურაძე*